

1961 / 2

პროლეტარებო კველა ქვეყნისა, შეერთდით  
საქართველოს მთავრობის მინიჭებული



# 1961 წლის საბჭოს უნიკანები

№ 28 (151)

10 ოქტომბერი

1961 წელი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საგმოს  
და დაზღვილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საგმოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დაზღვილებები

გაცემილება პიროვნეული

430. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეემის, სასახლ-  
ვრო საქონებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოცია-  
ლისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლი-  
კის მთავრობას შორის.
431. შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოცია-  
ლისტური რესპუბლიკების კავშირსა და მალის რესპუბლიკას შორის.
432. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამარმოების, დაწესე-  
ბულებებისა და ორგანიზაციების მიერ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მათ სამუ-  
შაოსთან დაკავშირებული დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით  
მიყენებული ზარალის ანზღაურების თაობაზე დავის განხილვის წესის შესახებ.
433. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სსრ კავშირის სახელ-  
მწიფო შრომითი რეზერვების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულების II მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
- გაცემილება მომრი
434. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ველანელი ჯარისკაცების  
საიდ ერამის, აბდულ რახიმის, ფაირ მუჰამედისა და მუჰამედ ალის მედლით „წყალ-  
წალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
435. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვაზეთ „საბჭოთა ყიზ-  
გიზეთის“ შრომის წითელი ღრუშის მრავალი დაჯილდოების შესახებ.
436. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბიოლოგიურ მეცნიე-  
რებათა ღრეტრორის, პროფესორ ს. მ. მხირენსკის შრომის წითელი ღრუშის მრავალი  
დაჯილდოების შესახებ.
437. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამს. ო. ვ. კუუსინენი-  
სათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

438. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მენეჯერით თა საპოსტან არსებული გზის მრეწველობის მთავრი სამმართველოს უფრასხმაში ა. კ. კორტუნოვის სსრ კავშირის მინისტრდ დანიშვნის შესახებ.
439. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის საშედერო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაფილდობის შესახებ.
440. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოლკვონიკ ს. გ. ლელუხის წითელი ღრმიშით და მიორ ვ. ე. მაზურინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდობის შესახებ.
441. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უმცროს სერუანტ ქ. მუკუშევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდობის შესახებ.

### განყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეენევს რწმუნების სიგელები გადასცა იუგოსლავის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ც. მიატოვიჩმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეენევს რწმუნების სიგელები გადასცა პაკისტანის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ჰუსეინმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეენევს რწმუნების სიგელები გადასცა მექსიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გ. ლუსიომ. აღმინისტრაციულ-ტერიორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უგალდები  
საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უგალდები საბჭოს

პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

გაცემის პირველი

ს ე ს უ ა კ რ უ ს ლ ე ბ ა

**430** საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეზი-  
მის, სასახლეზე საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთ-  
დახმარების უსახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავ-  
შირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავ-  
რობას უორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და პო-  
ლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, სურთ რა განსაზღვრონ ღონის-  
ძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჯეროვან წესრიგზე იყოს საბჭოთა სო-  
ციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლი-  
კის სახელმწიფო საზღვრის რევიმი და სასაზღვრო საკითხები მოწესრიგდეს  
თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სულისკვეთებით, გადაწყვიტეს  
ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება და მისიათვის თავიანთ რწმუნებულებად  
დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — ნ. პ.  
ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ — ბოლესლავ იაშჩუკი,  
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ  
კავშირში,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვან ფორ-  
მაში და სრულ წესრიგზე ომოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

გ ა ნ ც მ ც ი ლ ე ბ ა I

საზღვრის ხაზის გატარება, სასახლეზე ნიშნები, საზღვრის აღნიშვნა და მოვლა.

მუხლი 1

1. სახელმწიფო საზღვრის ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შორის, დადგენილი 1945  
წლის 16 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირ-პოლო-  
ნეთის სახელმწიფო საზღვრის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-  
კების კავშირისა და პოლონეთის რესპუბლიკის შორის, 1951 წლის 15 თებერ-  
ვალს ხელმოწერილი ხელშეკრულებით სახელმწიფო ტერიტორიების უბნების

გაცვლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და მონეთის რესპუბლიკების შორის, 1957 წლის 5 მარტს ხელმოწერილი ჩატურების რულებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის არსებული სახელმწიფო საზღვრის დემარქაციის შესახებ იმ უბანზე, რომელიც ემიჯენბა ბალტიის ზღვას, და 1958 წლის 18 მარტს ხელმოწერილი ოქმით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ბალტიის ზღვის გდანსკის ყურეში საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის ტერიტორიული წყლების გამიჯვნის შესახებ, ადგილზე გადის ისე, როგორც იგი განსაზღვრულია:

a) სსრ კავშირის, პოლონეთისა და ჩეხელსლოვაკიის წარმომადგენლების მიერ 1946 წლის 18 აპრილს უყვორდში ხელმოწერილ დოკუმენტებში სა-საზღვრო ნიშან „კრემენეცის“ შესახებ, რომელიც დადგმულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხელსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე და რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის საწყის პუნქტს.

b) 1947 წლის 30 აპრილს ვარშავაში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1946—1947 წლების სახელმწიფო საზღვრის დემარქაციის დოკუმენტებში უბნებზე სასაზღვრო ნიშან „კრემენეციდან“ № 350 სასაზღვრო ნიშნიდე, № 472 სასაზღვრო ნიშნიდან № 700 სასაზღვრო ნიშნამდე და № 860 სასაზღვრო ნიშნიდან № 1987 სასაზღვრო ნიშნამდე, რომელიც დადგმულია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის (კალინინგრადის ოლქი), პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების შესაყარზე;

c) 1951 წლის 23 ოქტომბერს ვარშავაში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1946—1947 წლების სახელმწიფო საზღვრის დემარქაციის დოკუმენტებში უბნებზე № 350 სასაზღვრო ნიშნიდან № 472 სასაზღვრო ნიშნამდე და № 700 სასაზღვრო ნიშნიდან № 860 სასაზღვრო ნიშნამდე, რომელთა შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საზღვრის ახალი ხაზის დემარქაციის დროს 1951 წელს სახელმწიფო ტერიტორიების გადაცვლილ უბნებზე დადგმულია სასაზღვრო ნიშნები № 351—A-დან № 432—A-მდე და შესაბამისად № 701—B-დან № 859 — B-მდე;

d) საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის დემარქაციის დოკუმენტებში უბანზე № 1987 სასაზღვრო ნიშნიდან № 2439 (მონოლითი) სა-საზღვრო ნიშნამდე და დემარქაციის დოკუმენტებში, რომლებითაც დადგენილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სა-ხალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების გამყოფი ხაზი გდანსკის ყურეში. დემარქაციის აღნიშნული დოკუმენტები ხელმოწერილია ვარშავაში 1958 წლის 10 სექტემბერს;

ე) საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციის დღე/ კუმენტების დანართებში და დამატებებში, რომლებიც შეიძლება დაიფრთხოეს ხელშეკრულების მოქმედების ვალის განმავლობაში.

ეს ხაზი ამ ხელშეკრულებაში იწოდება სიტყვებით „საზღვარი“ ან „საზღვრის ხაზი“.

2. დემარკაციის დოკუმენტებს წარმოადგენენ:

ა) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზის გატარების ოქმები — ოლწერილობები საზღვრის შესაბამის უბნებზე,

ბ) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის რუკები,

ც) სასაზღვრო ნიშნების ოქმები სქემა-კროკებით უკანა გვერდზე, აგრეთვე დემარკაციის სხვა დოკუმენტები, რომლებიც მოხსენებულია ოქმ-ოლწერილობებში.

## მუხლი 2

საზღვრის ხაზი, განსაზღვრული 1 მუხლში მოხსენებულ დოკუმენტებში, ვერტიკალური მიმართულებით გამიჯნავს აგრეთვე საპარაკო სივრცეს და მიწის წიაღს.

## მუხლი 3

1. სახმელეთო უბნებზე, აგრეთვე საზღვრის ხაზით გადაკვეთილ დამდგარ და გამდინარე წყლებზე საზღვარი გადის უძრავად სწორი ხაზით ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე.

2. სასაზღვრო გამდინარე წყლების უბნებზე საზღვარი გადის მოძრავად სწორი, ტეხილი ან მრუდი ხაზით, აგრეთვე ერთი სასაზღვრო ნიშნიდან მეორემდე, ამასთან სანაოსნო მდინარეებზე — მათი მთავარი ფარგატერის (ტალვეგის) შუაზე არასანაოსნო მდინარეებზე, ნაკადულებზე და არხებზე — მათ შუაზე ან მთავარი ტოტის შუაზე.

3. კალინინგრადის ყურეში (ვისლიანი ზალევი) საზღვარი გადის უძრავად სწორი ხაზით, რომელიც აღნიშნულია ტივტივებით. გდანსკის ყურეში — მიმართულების ნიშნის ხაზით, რომელიც დაგმულია ბალტიის ისარაზე (მეჟეია ვისლიანა).

4. კუნძულები სასაზღვრო მდინარეებზე ტერიტორიულად მიკუთვნებულია ამა თუ იმ მხარეს იმისდა მიხედვით, თუ როგორ მდებარეობენ ისინი საზღვრის ხაზის მიმართ და დანომრილია დემარკაციის დოკუმენტებში რიგითი ნუმერაციით თითოეულ მდინარეზე ცალკე.

## მუხლი 4

1. სანაოსნო მდინარეებზე საზღვრის ხაზის გატარება იცვლება მათი მთავარი ფარგატერის (ტალვეგის) შუა ადგილის ბუნებრივი გადაადგილების შესაბამისად.

2. არასანაოსნო მდინარეებზე და ნაკადულებზე საზღვრის ხაზის გატარება/ იცვლება მათი შუა ადგილის გადაადგილების შესაბამისად, რაც გამოწვეულების ამ მდინარეებისა და ნაკადულების ნაპირების კონფიგურაციის ბუნებრივი ცვლილებებით.

3. ადგილზე საზღვრის ხაზის განსაზღვრის დროს, რომელიც გადის მდინარის, ნაკადულის ან არხის შუაზე, მათზე არსებული ყურეები მხედველობაში არ მიიღება, ასეთ შემთხვევებში ამ მდინარეების, ნაკადულების და არხების შუა ადგილად ითვლება გასწორებული ხაზი, რომელიც ერთნაირად დაშორებულია ორივე ნაპირის შესაბამისად გასწორებულ ხაზებიდან. იქ, სადაც შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ნაპირების ეს ხაზი, ხსენებული სასაზღვრო წყლების შუა ადგილად ითვლება წყლის ზედაპირის შუა ადგილი წყლის საშუალო დონის დროს.

4. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტში აღნიშნულ ცვლილებებს ერთად დაადგენენ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი.

ღოკუმენტები, რომლებითაც დადგენილია სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულების და არხების შუა ადგილის მდებარეობის ცვლილებები, დემარკაციის ძირითად ღოკუმენტებს არ ერთვის, არამედ ინხება ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფლებთან, რომლებიც ემსახურებიან საზღვრის ამ უბანს.

5. სასაზღვრო მდინარის ან ნაკადულის კალაპოტის ცვლილებები ბუნებრივი მოვლენების შედეგად, რომლებსაც მოჰყვება მიწის სავარგულების, დასახლებული პუნქტების, ღირებულების მქონე ნაგებობების, შენობების და ა. შ. ტერიტორიული კუთვნილების ფიზიკური ცვლილებები, არ ცვლის საზღვრის ხაზის გატარებას, თუ ხელშეკრულების დამდები მხარეები. არ შეთანხმდებიან სხვაზე სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოთა შესრულების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

6. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში მოხსენებული ცვლილებები საზღვრის ხაზის გატარებაში არ ცვლის სასაზღვრო მდინარეებზე არსებულ იმ კუნძულების ტერიტორიულ კუთვნილებას, რომლებიც საზღვრის დემარკაციის დროს მიეკუთვნებულია ამა თუ იმ მხარისათვის თუ ხელშეკრულების დამდები მხარეები არ შეთანხმდებიან სხვაზე სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოთა შესრულების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

7. ამ მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ცვლილებების შემთხვევაში თუ შეუძლებელია მიღებულ იქნას ამ ხელშეკრულების 16 მუხლის 5 პუნქტში აღნიშნული ლონისძიებანი, საზღვრის ხაზი, თუ აღმოჩნდება რომ იგი კვლავ ალარ გადის მდინარეზე ან ნაკადულზე, უნდა განისაზღვროს სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმების სამუშაოების შესრულების დროს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების 5 მუხლით.

ამ სამუშაოების შესრულების დროს საზღვრის ხაზი, რომელიც გადარდა ადრე მდინარეზე ან ნაკადულზე ტეხილი ან მრუდი ხაზით, შეიძლება შემოვარდეს.

### მუხლი 5

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი 1961 წელს განახორციელებნ მდინარეებზე, ნაკადულებზე და არხებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთად შემოწმებას ადგილზე გაზომვებისა და სხვა სამუშაოების გზით. შემდგომში ასეთი ერთობლივი შემოწმებები განხორციელდება ყოველ ათ წელიწადში ამ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, თუ ხელშეკრულების დამდები არც ერთი მხარე არ მოითხოვს ამას ადრე.

2. სასაზღვრო წყლების უბნებზე საზღვრის ხაზის გატარების ერთობლივი შემოწმებები წარმოებს ზაფხულში. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი საზღვრის ხაზის გატარების ერთობლივი შემოწმებების დაწყების შესახებ შეთანხმდებიან ადრევე იმ ანგარიშით, რომ თითოეულ მხარეს შეეძლოს განახორციელოს ამისათვის ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები.

3. იმ შემთხვევაში, თუ მდინარეების, ნაკადულებისა და არხების ცალკეულ უბნებზე საზღვრის ხაზის გატარებაში დადგენილ იქნა ცვლილებები 1946—1947 წლების, 1951 წლის და 1958 წლის დემარკაციის დოკუმენტებთან შედარებით, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ატარებენ საზღვრის ახალ ხაზს და განსაზღვრავენ საზღვრის ამ უბნებზე კუნძულების კუთვნილებას.

კუნძულები სასაზღვრო მდინარეებზე ტერიტორიულად მიეკუთვნება ამა თუ იმ მხარეს იმისდამიხედვით თუ როგორ მდებარეობენ ისინი საზღვრის ხაზის მიმართ და დემარკაციის ახალ დოკუმენტებში დაინორჩებიან რიგითი ნომრით.

4. მდინარეების, ნაკადულებისა და არხების უბნებზე, სადაც მოხდა ცვლილებები საზღვრის ხაზის გატარებაში, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ადგენენ ახალ სადემარკაციო დოკუმენტებს ამ ხელშეკრულების 1 მუხლში ხსენებული დემარკაციის დოკუმენტის შესაბამისად ორ ეგზემპლარად თითოეულს რუსულ და პოლონურ ენებზე.

5. აღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი თითოეულ მხარიდან პარიტეტულ საწყისებზე მოიწვევენ ექსპერტებს, სპეციალისტებსა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო სხვა პირებს.

ამ სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები თანაბრად განაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

6. სასაზღვრო წყლების უბნების ახალი სადემარკაციო დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, დამტკიცებულ უნდა იქნას ხელშეკრულების დამდები

ორივე მხარის მთავრობათა მიერ და ძალაში შევა მათი დამტკიცების შეცვლის  
ნოტების გაცვლის დღიდან.

7. ამ მუხლის 6 პუნქტში აღნიშნული ახალი დოკუმენტები მდინარეების,  
ნაკადულებისა და ორხების ცალკეულ უბნებზე შეცვლიან 1946—1947 წლების,  
1951 წლის და 1958 წლის დემარკაციის დოკუმენტებს ამ უბნებზე.

### მუხლი 6

1. საზღვარი ადგილზე აღნიშნულია შემდეგი სასაზღვრო ნიშნებით:

a) საზღვრის სახმელეთო უბნებზე — ნის ან რკინაბეტონის ორი სასაზღვრო  
ბოძით, რომელიც როგორც წესი, დადგმულია საზღვრის ხაზიდან 2,5 მეტრის  
მანძილზე თითოეული, და ნის პატარა მრგვალი ბოძით, ან ქვის ოთხჭანა  
გოვანი ან რკინაბეტონის პატარა ბოძით, რომელიც დადგმულია მათ შორის  
თვით საზღვრის ხაზზე;

b) საზღვრის ძირითად მოსახვევ პუნქტებში და მის ცალკეულ დამახასია-  
თებელ ადგილებში — ნის ან ბეტონის ორი სასაზღვრო ბოძით და ბეტონის  
მონოლითით, რომელიც დადგმულია ბოძებს შორის თვით საზღვრის ხაზზე;

c) საზღვრის ხაზის სახმელეთო უბნიდან წყლების უბანზე გადასვლის  
ადგილებში და წყლების უბნიდან სახმელეთოზე — ნის ან რკინაბეტონის სამი  
სასაზღვრო ბოძით და ნის პატარა ბოძით ან ბეტონის მონოლითით, ამსთან  
ორი ბოძი და მათ შორის პატარა ბოძი ან მონოლითი, დადგმულია მდინარის  
ან ტბის ერთ ნაპირზე, მესამე ბოძი კი — მიმართულების ნიშანი — მოპირდა-  
პირე ნაპირზე, საზღვრის ხაზის გაგრძელებაზე.

კალინინგრადის ყურის (ვისლიანი ზალევი) და გდანსკის ყურის ნაპირებ-  
ზე ყურეებთან საზღვრის გამოსვლის ადგილებში — რკინაბეტონის მონოლი-  
თებით, რომლებიც დადგმულია თვით საზღვრის ხაზზე;

d) საზღვრის წყლების უბნებზე — ნის ან რკინაბეტონის ორი ბოძით,  
რომელიც დადგმულია მდინარის, ნაკადულის, არხისა ან ტბის ორივე ნაპირზე  
ან ერთ-ერთ ნაპირზე და კუნძულზე;

e) კალინინგრადის ყურეში (ვისლიანი ზალევი) ნავიგაციის პერიოდში —  
ზღვის ტივტივებით, და წლის სხვა ღროს — ნიშანსვეტებით, რომლებიც და-  
იდგმება თვით საზღვრის ხაზზე, და მიმართულების ნიშნებით, რომლებიც  
დადგმულია სანაპიროზე;

f) გდანსკის ყურეში ხაზი, რომელიც გამიჯნავს სსრ კავშირისა და პოლო-  
ნეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებს, — მიმართულების ნიშ-  
ნებით, რომელიც დადგმულია ბალტის ისარაზე (მეჟერა ვისლიანა).

მიმართულების ნიშნებზე მოწყობილია შუქურას სანათი აპარატურა.

2. თითოეული სასაზღვრო ნიშნის დახასიათება და მისი მდებარეობა  
საზღვრის ხაზის მიმართ განისაზღვრება შესაბამისი სადემარკაციო დოკუ-  
მენტებით.

3. საზღვრის ხაზის აღნიშვნა სხვა სისტემის მიხედვით, რომელიც დემარ-  
კაციის ღროს არ იქნა მიღებული, ან არსებული სასაზღვრო ნიშნების შეცვლა

### მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ საზღვრის ხაზის აღსა-ნიშნავად დადგმული სასაზღვრო ნიშნების მოვლას ისეთი წესით, რომ სასაზღვრო ნიშნების აღგილმდებარეობა, სახე, ფორმა, ზომა და ფერი შეესაბამებოდეს საზღვრის დემარკაციის დოკუმენტებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნას.

### მუხლი 8

სასაზღვრო ნიშნების მოვლა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

a) სასაზღვრო ბოძების მოვლას, რომლებიც მდებარეობენ სსრ კავშირის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს საბჭოთა მხარე;

b) სასაზღვრო ბოძების მოვლას, რომლებიც მდებარეობენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს პოლონეთის მხარე;

c) პატარა ბოძებისა და მონოლითების მოვლას, რომლებიც დადგმულია ზედ სახელმწიფოს საზღვრის ხაზზე, კისრულობენ:

ლუწი ნუმერაციის ნიშნებისას — საბჭოთა მხარე;

კენტი ნუმერაციის ნიშნებისას — პოლონეთის მხარე.

2. მიმართულების ნიშნების მოვლას უზრუნველყოფს საბჭოთა მხარე; ტივტივებისა და ნიშანსვეტების მოვლას, რომლებიც დადგმულია კალინინგრადის ყურეში (ვისლიანი ზალევი), უზრუნველყოფს პოლონეთის მხარე.

### მუხლი 9

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ, რომ საზღვარი მთელ მის სიგრძეზე ხილვადობის მდგომარეობაში იმყოფებოდეს, ამისათვის სასაზღვრო განაკაფი 10 მეტრის სიგანით (ხუთ-ხუთი მეტრი საზღვრის ხაზის ორივე მხარეზე ხების ტოტებამდე ჩათვლით) უნდა იმყოფებოდეს სრულ წესრიგში, და საჭიროებისდა მიხედვით, უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარისა და სხვა ბარდებისაგან, რომლებიც ხდლს უშლიან ხილვადობას. განაკაფზე მიწის მოხვნა და რამებ ნაგებობათა აშენება დაუშვებელია, თუ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი არ შეთანხმდებიან სხვაზე. ნაგებობათა აშენების აკრძალვა არ ეხება ნაგებობებს; რომლებიც ემსახურებიან საზღვრის დაცვას.

2. თითოეული მხარე აწარმოებს საზღვრის განაკაფის გასუფთავებას თავის ტერიტორიაზე, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ერთმანეთს აცნობებენ სასაზღვრო განაკაფის მომავალი გასასუფთავებელი სამუშაოების დაწყების შესახებ არ უგვიანეს ათი დღისა მათ დაწყებამდე. ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ ამ სამუშაოებს.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმაზე, რომ ნაციონალი და შენობები, როგორც არსებული ისე ახლად ასაგები საზღვრის სიახლოები, პასუხობდნენ ხანძრის საწინააღმდეგო წესების მოთხოვნებს. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთშორის ცვლიან ამ წესებს.

### მუხლი 10

ამ ხელშეკრულების 7, 8 და 9 მუხლის თანახმად ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის სათანადო ხელისუფალნი საკუთარი შეხედულებისამებრ აწარმოებენ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობისა და ადგილმდებარეობის და სასაზღვრო განაკაფების მდგომარეობის დათვალიერებას.

2. გარდა ცალმხრივი დათვალიერებისა ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომდგენლების მიერ რჩ წელიწადში ერთხელ უნდა წარმოებდეს სასაზღვრო ნიშნების ერთობლივი საკონტროლო დათვალიერება.

სასაზღვრო ნიშნების ერთობლივი საკონტროლო დათვალიერება წარმოებს ზაფხულობით. სასაზღვრო ნიშნების ერთობლივი საკონტროლო დათვალიერების დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან თითოეულ შემთხვევაში.

3. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთობლივი დათვალიერების საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები ერთო მხარის სათანადო ხელისუფალნი ამის შესახებ წერილობით აფრთხილებენ ხელშეკრულების დამდები მხორე მხარის სათანადო ხელისუფალთ. სასაზღვრო ნიშნების დამატებით ერთობლივი დათვალიერება წარმოებს არა უგვიანეს ათი დღისა ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის სათანადო ხელისუფალთათვის შეტყობინების მომენტიდან.

4. თუ დათვალიერების დროს დადგენილ იქნა, რომ დემარკაციის ღოკუმენტებში მოთავსებულ გაზომვათა მონაცემები არ დაემთხვევა მონაცემებს, რომლებიც მიღებულია ადგილზე ერთად გაზომვის გზით და თუ დადგენილ იქნა რომ სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობა დემარკაციის მომენტიდან არ შეცვლილა, გადამწყვეტად ჩაითვლება ადგილზე გაზომვების მონაცემები.

5. დემარკაციის ღოკუმენტების შესწორებები და დამატებები წარმოებს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმებით და დაერთვიან ამ ღოკუმენტებს.

6. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ საკონტროლო დათვალიერების შედეგებზე დგება ოქმი არ ეგზემპლარიად, თითოეული რუსულ და პოლონურ ენებზე.

### მუხლი 11

1. სასაზღვრო ნიშნის დაკარგვის, დანგრევის ან დაზიანების შემთხვევაში მისი აღდგენა ან შეკეთება წარმოებს ღაუყოვნებლივ იმ მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ამ ნიშნის სასაზ-



ლერო ბოძი ან რომელზეც მიმაგრებულია ბოძი ან მონოლითი. სასაზღვრო  
ნიშნების აღსადგენად ან შესაკეთებლად სამუშაოთა დაწყების შესახებ ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან წერილობით — უწყონ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ არა უგვიანეს ათი დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

2. დაქტრიული, დანგრეული ან დაზიანებული სასაზღვრო ნიშნების აღდგენას აწარმოებს ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

3. სასაზღვრო ნიშნის ან სასაზღვრო ბოძის აღდგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მისი ადგილმდებარეობა არ შეიცვალოს, ამისათვის უნდა იხელმძღვანელონ დემარკაციის ღოუმენტებით; მათში მოთავსებული მონაცემები უნდა შემოწმდეს ადგილზე საკონტროლო გაზომვებით.

4. საზღვრის წყლის უბნებზე წყალდიდობით ან ყინულთსკვლით დაზიანებული ან განადგურებული სასაზღვრო ნიშნების აღდგენის ან აგების დროს ნებადართულია მათი წინანდელი ადგილმდებარეობის შეცვლა თვით საზღვრის ხაზის გატარების შეუცვლელად და ახლად დაყენება იმ ადგილებში, სადაც სასაზღვრო ბოძების შენარჩუნება გარანტირებულია. საზღვრის წყლის უბანზე სასაზღვრო ბოძების ადგილმდებარეობის შეცვლა წარმოებს ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის თანხმობით.

5. სასაზღვრო ბოძების ახალ ადგილებზე გადატანა საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია აგრეთვე საზღვრის ხევებიან უბნებზეც ამ მუხლის 4 პუნქტის შესაბამისად.

6. ახალ ადგილზე სასაზღვრო ნიშნის აღსადგენად, შესაკეთებლად ან ასაგებად წარმოებული სამუშაოების შესახებ ხელშეკრულების დამდები მხარეები აღვენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და პოლონურ ენებზე.

ახალ ადგილზე აგებულ თითოეულ სასაზღვრო ნიშნის ოქმი და სქემა — კროკი, რომლებიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს დემარკაციის დანარჩენ დოკუმენტებს და დაერთვის მათ.

7. საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთ ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ თვით საზღვრის ხაზის გატარების შეუცვლელად დააყენონ დამატებითი სასაზღვრო ნიშნები საზღვრის ხაზზე.

— საზღვარზე დამატებით დადგმული სასაზღვრო ნიშნები უნდა შეესაბამებოდეს დემარკაციის ღოუმენტებით დადგენილ ნიმუშებს და უნდა გაფორმდეს ღოუმენტებით, რომლებიც აღნიშნულია ამ მუხლის 6 პუნქტში.

8. ამ ხელშეკრულების 8 მუხლის თანახმად ამა თუ იმ მხარისათვის მიმაგრებულ სასაზღვრო ნიშნების შეკეთების სამუშაოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე აწარმოებს დამოუკიდებლად.

9. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ ზომებს სასაზღვრო ნიშნების სათანადოდ დასაცავად.

მეორე მხარის მცხოვრებთა მიერ სასაზღვრო ნიშნების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში აღნიშნული ნიშნები აღდგენილ უნდა იქნას ამ მხარის ხარჯზე.

10. თუ ერთი მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები შენავენ მეორე მხარის ტერიტორიაზე დანგრეულ ან დაზიანებულ პირების შესახებ აცნობებენ ამ მხარის სათანადო ხელისუფალთ სასაზღვრო ნიშნის აღდენის ან შეკეთების მიზნით.

იმ მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები, რომლის ტერიტორიაზეც იყო აღმოჩენილი სასაზღვრო ბოძის დაკარგვა, დანგრეუა ან დაზიანება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აღადგინონ ან შეკეთონ იგი.

## გ ა ნ ც მ ფ ი ლ ე ბ ა II

სასაზღვრო წყლებით და საზღვრის ხაზის გადამკვეთი რკინიგზებით,  
გზატკეცილებითა და სხვა გზებით სარგებლობის წესი

### მუხლი 12

მდინარეები, ნაკადულები და არხები იმ უბნებზე, რომლებზედაც გაღის საზღვრის ხაზი, აგრეთვე კალინინგრადის ყურე (ვისლიანი ზალევი), ტბები და ტბორეები, რომლებიც გადაკვეთილია ამ ხაზით, ითვლებიან სასაზღვრო წყლებად.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიღებენ სათანადო ზომებს იმის სათვის, რომ სასაზღვრო წყლებით სარგებლობის დროს პატივი სცენ ხელშეკრულების დამდები მხარეების შესაბამის უფლებებსა და ინტერესებს.

### მუხლი 13

1. სასაზღვრო მდინარეებზე, სადაც საზღვრის ხაზი გადის მთავარი ფარვატერის შუაზე, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სანაოსნო საშუალებებს (გემებს, ნავებს) ეძლევა შეუფერხებელი ცურვის უფლება, ფარვატერის მთელ სიგანეზე, მასზე საზღვრის ხაზის გავლის დამოუკიდებლად.

2. სასაზღვრო არასანაოსნო მდინარეებზე, ნაკადულებზე, არხებზე და ტბებზე, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სანაოსნო საშუალებებს ეძლევა ცურვის უფლება მხოლოდ საზღვრის ხაზამდე.

კალინინგრადის ყურეში (ვისლიანი ზალევი) საზღვრის დაცვისა და სასაზღვრო ნიშნების (ტივტივების) შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით, მათი ცირკულაციის გამო ტივტივების საზღვრის ხაზიდან გადწევის გათვალისწინებით, სანაოსნო საშუალებებს, საზღვრის ხაზის მახლობლად ცურვა ეკრძალებათ. ამ პუნქტის დადგენილებანი არ ეხება გემებს, რომლებიც იცავენ და ემსახურებიან საზღვარს, აგრეთვე სავაჭრო გემებს, რომლებიც ამ ხელშეკრულების 14 მუხლის შესაბამისად საზღვარზე გადადიან განსაზღვრული მარშრუტით.

4. ორივე მხარის სანაოსნო საშუალებებს შეუძლიათ გადაკვეთონ საზღვრის ხაზი ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმების არსებობის დროს.

5. ხელშეკრულების დამდები მხარეთა სანაოსნო საშუალებებს შეუძლიათ  
მიაღწენ სასაზღვრო მდინარის, ტბის ან ყურის მეორე მხარის კუთვნილ ნაკრებების  
პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან განსაცდელში (შტორში,  
ივარია და ა. შ.) ამ შემთხვევაში მესაზღვრე ხელისუფალნი ვალდებულნი არიან  
გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

### მუხლი 14

პოლონეთის სავაჭრო გემები გადიან კალინინგრადის ყურის (ვისლიანი  
ზალევი) საბჭოთა ნაწილზე, აგრეთვე ბალტიის არხზე (პილავის სრუტე) ოჩ-  
მხრივ მიმართულებით აღრე მიღწეულ შეთანხმებათა შესაბამისად.

### მუხლი 15

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის როგორც თვითმავალ, ისე  
ბუქსირით მიმავალ არათვითმავალ სანაოსნო საშუალებებს ნაოსნობის უფლე-  
ბა ეძლევათ სასაზღვრო წყლებში დღე-ღამის განმავლობაში.

არათვითმავალ სანაოსნო საშუალებებს, რომლებიც ბუქსირით არ მიდიან,  
აგრეთვე როგორც თვითმავალ, ისე არათვითმავალ წვრილ სანაოსნო საშუა-  
ლებებს (ნავებს) აკრძალული აქვთ სასაზღვრო წყლებში ნაოსნობა ღამით,  
რომელიც იწყება მზის ჩასვლამდე ნახევარი სათით აღრე და თავდება მზის  
ამოსვლიდან ნახევარი სათის შემდეგ.

ტბებზე კრასნოესა (გოლდაპი) და გოლოდუსზე ღამით ნაოსნობა აკრძა-  
ლულია მხოლოდ საზღვრის ხაზის მახლობლად.

2. სასაზღვრო წყლებში მონაოსნე ყველა სანაოსნო საშუალებებს უნდა  
ქონდეთ: თვითმავალ გემებს და არათვითმავალ კარგაპებს—თავიანთი სახელ-  
შეწიფოების შესაბამისი აღმები და მათთვის მიკუთვნებული სახელწოდებები  
და ნომრები; ნავებს — ცხვირზე და კიჩოზე სახელმწიფო აღმისფრად შეღე-  
ბილი ზოლები ან აღმები და მათთვის მიკუთვნებული ნომრები.

3. სასაზღვრო წყლებში მოცურავე სანაოსნო საშუალებებს უფლება არა  
აქვთ გაჩერდნენ ღუზაზე საზღვრის ხაზზე, იძულებითი გაჩერების. შემთხვე-  
ვების გამოკლებით.

4. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სანაოსნო საშუალებანი, რომ-  
ლებიც ცურავენ სასაზღვრო წყლებში ამ მუხლის 1—3 პუნქტებში ჩამოთვ-  
ლილი წესების დაცვით, არ შეიძლება დაკავებულ იქნან ხელშეკრულების დამ-  
დები მეორე მხარის ხელისუფალთა მიერ ან აიძულონ ისინი დადგნენ ღუზა-  
ზე, ნავსაბელთან. აგრეთვე გასინჯონ ან შეუმოწმონ დოკუმენტები.

### მუხლი 16

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმაზე, რომ სასაზღვრო  
წყლები იქონიონ სათანადო წესრიგში, გაითვალისწინონ მეორე მხარის უფ-  
ლებები და ინტერესები ამ წყლებში და მიღლონ ზომები სასაზღვრო მდინარე-  
ების, ტბებისა და არხების ნაპირების განზრევის წინააღმდეგ.

2. თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიზეზით ამ შეცვლის  
პირველი პუნქტის მოთხოვნათა შეცვლულებლობის შედეგად მატერიალული  
ზარალი მოუვიდა ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს, მაშინ ამას აანაზ-  
ლაურებს ის მხარე, რომელმაც ეს ზარალი მიყენა.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების დამდებარეობა და მიმართულება შეძლე-  
ბისდაგვარად შენარჩუნებულ უნდა იქნას უცვლელ მდგომარეობაში. ამ მიზნით  
ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ერთად მიიღებენ  
საჭირო ზომებს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ასეთი დაბრკო-  
ლებანი, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სასაზღვრო მდინარეების, ნაკადუ-  
ლებისა და არხების კალაპოტის მდებარეობის შეცვლა, აგრეთვე შეაფეროს  
წყლის ბუნებრივი დინება მათზე, ნაოსნობა და დაცულება. ამისათვის საჭირო  
სამუშაოების ერთობლივად წარმოების შემთხვევაში ასეთ სამუშაოთა წესს  
ადგენენ ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფალნი. ამ სამუშაოებთან დაკავში-  
რებული ხარჯები თანაბრად ნაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხა-  
რეს შორის, თუ ამ საკითხზე არ იქნება მიღებული განსაკუთრებული შეთან-  
ხმება.

4. სასაზღვრო მდინარეების, ნაკადულებისა და არხების კალაპოტის მდე-  
ბარეობის შეცვლის თავიდან აცილების მიზნით მათი ნაპირები გამაგრებულ  
უნდა იქნას იქ, სადაც ამას ერთად საჭიროდ ცნობენ ხელშეკრულების დამდებ  
მხარეთა სათანადო ხელისუფალნი. ამ სამუშაოებს შეასრულებს და შესაბამის  
ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის ნაპირი.

5. სასაზღვრო მდინარეების ან ნაკადულების კალაპოტის მდებარეობის  
ბუნებრივი გზით ან სტიქიური მოვლენის შედეგად შეცვლის შემთხვევაში  
ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არიან ერთად აწარმოონ  
კალაპოტის გასწორება, თუ ამას საჭიროდ ცნობენ მათი სათანადო ხელისუ-  
ფალნი. ამ სამუშაოების წარმოების, აგრეთვე ხარჯების დაფარვის წესს ერთად  
ადგენენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი.  
ამ სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები თანაბრად ნაწილდე-  
ბა ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის.

## მუხლი 17

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებში და მის ახლო მდებარე ადგილებში,  
რომლებიც წყალდიდობის დროს წყლით იფარება, წყლის ბუნებრივი დინება  
არ შეიძლება შეიცვალოს ან შეფერხებულ იქნას მეორე მხარის საზიანოდ  
როგორც წყალზე, ისე ნაპირებზე ნაგებობებისა და შენობების აგებით ან გა-  
დაკეთებით, ან სხვაგვარი-საშუალებით.

2. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმ-  
დებიან სასაზღვრო წყლებში ღინების მოწყობისა და მათგან წყლის გადაგდე-  
ბის წესის შესახებ, აგრეთვე ყველა სხვა საკითხზე, რომელიც ეხება წყლის  
რეჟიმს.



1. სასაზღვრო გამდინარე წყლები უნდა გაიშმინდოს იმ უბნებზე, სადაც მას ერთად საჭიროდ ცნობენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი. ასეთ შემთხვევებში გაშენდის ხარჯები თანაბრად განაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

2. წყლების იმ უბნების გაშენდას, რომლებიც მთლიანად ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე მდებარეობენ, ხოლო სხვა უბნებზე ეს წყლები წარმოადგენენ სასაზღვრო წყლებს, ეს მხარე აწარმოებს თავის ხარჯზე.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლების გაშენდის დროს ამოღებული გრუნტი და ქვები უნდა გადაიყაროს ნაპირიდან ისეთ მანძილზე და ისეთნაირად მოსწორდეს, რომ აღარ იქნას ნაპირის ჩამონვრევისა და კალაპოტის დანაგვიანების საფრთხე და რომ წყლის დინება წყალდიდობის დროს არ შეფერხდეს.

4. სასაზღვრო მდინარეებში ან მის ნაპირებზე ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ რაიმე ამოუცნობელი საგნების ან ცხოველთა ლეშის აღმოჩენის შემთხვევაში ამ მხარის სათანადო ხელისუფალნი იღებენ ზომებს მათი კუთვნილების დასადგენად. სასაზღვრო წყლებში ან მათ ნაპირებზე აღმოჩენილი აღამიანის გვამის ამოცნობას საჭიროების შემთხვევაში, ერთად აწარმოებენ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენელნი.

### მუხლი 19

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს სასაზღვრო წყლების სათანადო სუფთად დაცეისათვის, რათა არ დაუშვან მათი მოწამვლა ან გაბინძურება ქიმიური ნივთიერებებითა და საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა ნარჩენებით. მათში სელისა და კანაფის დალბობა, აგრეთვე მათი სხვაგვარი საშუალებით გაბინძურება.

### მუხლი 20

1. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე არსებული ხიდები, კაშხალები, რაბები, ჯებირები და მსგავსი ნაგებობანი უნდა იქნას დაცული და შეიძლება მათი ექსპლუატაცია ისეთი ნაგებობის გამოკლებით, რომლის დანგრევის საჭიროდ მიიჩნევენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფალნი.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ ნაგებობათა ხელახლა მოწყობის ან დანგრევის საჭიროების შემთხვევაში, რასაც მოჰყვება წყლის დონის შეცვლა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე, შესაბამის სამუშაოთა დაწყება შეიძლება მხოლოდ ამ მხარის თანხმობის მიღების შემდეგ.

3. სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ახალი ხიდების, კაშხალების, რაბების, ჯებირებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აგება, აგრეთვე მათი ექსპლუატაცია იწარმოებს მხოლოდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის შეთანხმებით.



ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთობა შორის გაცელიან ცნობებს სასაზღვრო წყლებში წყლის ღონისა და რაოდენობის და ყინულის მდგომარეობის შესახებ, თუ ასეთი ცნობებით შეიძლება თვაიდან აცილებულ იქნას საფრთხე, რომელსაც ქმნის წყალდიდობა ან ყინულთსვლა. საჭიროების შემთხვევაში ეს ხელისუფალნი აგრეთვე შეთანხმდებიან რეგულარული სიგნალიზაციის შესახებ წყალდიდობისა და ყინულთსვლის დროს. ასეთი ცნობების შეტყობინების დაყოვნება ან მათი არ გავჩავნა არ შეიძლება იყოს საფუძველი წყალდიდობით ან ყინულთსვლით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნათა წარსადგენად.

## მუხლი 22

1. სასაზღვრო გამდინარე წყლების მთელ მანძილზე იმ ადგილების ჩათვლით, სადაც ორივე ნაპირი ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს ეკუთვნის, ხე-ტყის მასალის დაცურება შეიძლება აწარმოოს ორივე მხარემ შეუფერხებლად.

2. ხე-ტყის მასალის წყალში ჩაშვების და მისი დაცურების ვადები და რიგი დადგინდება ყოველწლიურად ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა მიერ არაუგვიანეს ორი თვისა სასაზღვრო გამდინარე წყლებზე ნავიგაციის დაწყებამდე. დაცურების სამუშაოების დაწყების დღის შესახებ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი აუწყებენ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოების დაწყებამდე.

## მუხლი 23

1. ხე-ტყის მასალის ნორმალური დაცურების უზრუნველსაყოფად ამ ხელშეკრულების ოქმის 2 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულების დამდები მხარეების ხელისუფალნი ურთიერთთანხმობით დაუშვებენ მუშების მოსაზღვრე ნაპირზე გადასვლას და იქ მიმოსვლას ხე-ტყის გატარებისათვის დროებით დასაცურებელი ნავებობების მოსაწყობად და ამ ნაპირის დასაცურებელი მერქნისაგან გასაწმენდად.

2. საზღვრის გადასვლის ადგილის, დროისა და იმ მუშების რაოდენობის შესახებ, რომელისთვისაც გადასვლა საჭიროა მოსაზღვრე ნაპირზე ამ მუხლის 1 პუნქტში გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად, ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებიან წინასწარ და არა უგვიანეს 5 დღისა სამუშაოთა დაწყებამდე.

3. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სასაზღვრო გამდინარე წყლებით დაცურებული ხე-ტყის მასალა არ დაიბეგრება არავითარი ბაჟით და სხვა გამოსალებებით.



1. ყველა დასაცურებელი ხე-ტყის მასალა დატვიფრულ უნდა იქნას, რომ თვისაც მხარეთა შესაბამისი ხელისუფალი წინასწარ ადგენენ ტვიფარის ნიმუშებს და ურთიერთშორის ცვლიან მათ.

2. იმ შემთხვევაში, თუ დასაცურებელი ხე-ტყე გასუფთავებულ იქნა ქერქისაგან, მაშინ მოცილებული ქერქი არ უნდა მოხვდეს სასაზღვრო გამდინარე წყლებში.

## მუხლი 25

იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სისაზღვრო წყლებით სარგებლობის, პირი მოვლის, სისაზღვრო გამდინარე წყლებზე ხე-ტყის დაცურების წესს, აგრეთვე პიდრომეტეოროლოგიურ საკითხებზე თანამშრომლობას, შეიძლება დაიდოს დამატებითი სპეციალური შეთანხმებები.

## მუხლი 26

1. საზღვრის გადამკვეთ რკინიგზებზე, გზატკეცილებზე მიმოსვლა და ამ გზებზე საზღვრის გადასასვლელი პუნქტები დაღვინდება სპეციალური შეთანხმებებით ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის.

2. იმ ადგილებით ან, საღაც საზღვრის ხაზს გადაკვეთენ რკინიგზები, გზატკეცილები და სხვა გზები, აგრეთვე წყალსავალი გზები, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე დაგმს თავის ტერიტორიაზე და წესიერ მდგომარეობაში აქვს შესაბამისად შლაგბაუმები და სპეციალური ნიშნები.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ შესაბამის ზომებს იმისათვის, რომ მოძრაობისათვის გახსნილი რკინიგზების, გზატკეცილების და სხვა გზების, აგრეთვე წყალსავალი გზების უბნები მათ მიერ საზღვრის გადაკვეთის ადგილებში იქნიონ წესიერ მდგომარეობაში. მათ შეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ხარჯზე საზღვრის ხაზადე.

გამონაკლისები ამ წესიდან შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე შეთანხმებით. იმაზე, რომ ხიდები, კაშხალები და რაბები საზღვრის ხაზით იყოფა შუაზე, წყალზე საზღვრის ხაზის გატარებისაგან დამოუკიდებლად.

1. ამ ხელშეკრულებით ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე შეთანხმენენ იმაზე, რომ ხიდები, კაშხალები და რაბები საზღვრის ხაზით იყოფა შუაზე, წყალზე საზღვრის ხაზის გატარებისაგან დამოუკიდებლად.

2. ხიდები, რომლებსაც გადაკვეთავს საზღვარი, უნდა იყოს წესრიგში და მათ შეკეთებას აწარმოებს ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ხარჯზე ხიდზე გავლებული საზღვრის ხაზამდე, თუ ამ საკითხზე არ იქნება სხვა შეთანხმება. შეკეთების წესის, ვადებისა და ხასიათის შესახებ ხელ-

შეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შეთანხმდებან წარმოადგინება.

3. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია საჭიროებისდა მიხედვით აწარმოოს მეორე მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ სასაზღვრო ხიდების, კაშხალების და რაბების ნაწილების ტექნიკური დათვალიერება. ამ მხარის სათანადო ხელისუფალთ უნდა ეცნობოს არა უგვიანეს 48 საათისა მოსალოდნელი დათვალიერების შესახებ, მისი დაწყების ვადის აღნიშვნით, ხოლო დათვალიერების შემდეგ — მისი შედეგების შესახებ. დათვალიერება წარმოებს ამ მხარის სათანადო ხელისუფალთა თანდასწრებით.

4. სასაზღვრო ხიდებზე და საზღვრის სხვა ადგილებზე მოძრაობის წესს ადგენენ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი.

5. საზღვრის ხაზის გადამცვეთ ახალი ხიდების, ნაწყობის ან ბორნების აშენება, რომელთა ავების საჭიროებას განსაზღვრავენ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი, წარმოებს ამ ხელისუფალთა შორის შეთანხმებით. სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები წინასწარ შეთანხმდებიან მშენებლობის ადგილის შესახებ, ხილის, ნაწყობის ან ბორნის ტიპის შესახებ ამ ხიდების, ნაწყობის ან ბორნების აშენებასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების წესის შესახებ.

მესაზღვრე ჩრდილებულთა სხდომის ოქმებს, რომლებიც ადგენენ ასეთ შეთანხმებებს, ამტკიცებენ ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფალნი.

6. ამ მუხლის დადგენილებაზი არ ეხება რკინიგზის ხიდებს.

### მუხლი 28

თუ ამ ხელშეკრულების 16, 18 და 27 მუხლში აღნიშნულ ერთობლივ სამუშაოთა წარმოების დროს, წარმომაზება ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის ტერიტორიაზე მასალების გადაზიდვის საჭიროება, მაშინ ამ შემთხვევაში ასეთი მასალები საზღვარზე გადაზიდვის დროს გათავისუფლდება ყოველგვარი გამოსაღებებისა და ბაჟისაგან.

### გ ა ნ უ რ ი ლ ე ბ ა III

სატურო მეურნეობა, თევზჭერა, ნადირობა და სამორ საქმე

### მუხლი 29

1. იმ უბნებზე, რომლებიც აქრავს საზღვრის ხაზს, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე სატურო მეურნეობას წარმართავს ისეთნაირად, რომ ზიანი არ მიაყენოს მეორე მხარის სატურო მეურნეობას,

2. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე მიიღებს ზომებს იმისათვის, რომ არ დაუშვას ტყის მავნებლების მასობრივი გაჩენა, რომელთაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან მეორე მხარის სატურო მეურნეობას, და მათი აღმოჩენის შემთხვევაში აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

3. საზღვრის მახლობლად ტყის ხანძრის გაჩენისას ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლის ტერიტორიაზეც ხანძარი გაჩნდა, უნდა მიიღო შეძლებისამებრ მასზე დამოკიდებული ყველა ზომა ხანძრის ლოკალიზაციისა და ჩატრობისათვის, აგრეთვე არ დაუშვას მისი გავრცელება საზღვრის გადაღმა.

4. საზღვრის გადაღმა ტყის ხანძრის გავრცელების საფრთხის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდები ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც ეს საფრთხე წარმოიშვა, დაუყოვნებლივ აფრთხილებს ამის შესახებ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს საზღვარზე ხანძრის ლოკალიზაციისათვის სათანა-ზო ზომების მისაღებად.

5. თუ ბუნებრივი მოვლენების გამო ან ტყის ჭრის დროს ხეები ეცემიან საზღვრის ხაზს იქთ, მაშინ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს იმისათვის, რომ მოსაზღვრე მხარის დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ ამ ხეების დამუშავება და თავის ტერიტორიაზე გატანა, ასეთი შემთხვევების შესახებ იმ მხარის სათანადო ხელისუფლებმა, რომელთაც ეკუთვნის ხეები, უნდა აცნობონ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

ასეთ შემთხვევებში ხეების გადაზიდვა საზღვარზე თავისუფალია ყოველგვარი გამოსაღებებისა და ბაჟისაგან.

6. სასაზღვრო ტერიტორიაზე სატყეო მეურნეობის საკითხებზე ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის შესაბამის ხელისუფალთ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დაღინ დაწვრილებითი შეთანხმებები.

### მუხლი 30

ხე-ტყის გამოსაზიდავად პოლონეთის მხარეს შეუძლია ისარგებლოს გზით, რომელიც გადის საბჭოთა მხარის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტების რაღუნოვ და კრანის ლესის (რომინსკა პუშჩი) რაიონში უშუალოდ საზღვრის ხაზის ახლოს, იმ პირობით, თუ ის ამის შესახებ შეატყობინებს საბჭოთა მხარის სათანადო ხელისუფალთ გამოზიდვის დაწყებამდე არა ნაკლებ 10 დღისა და დაიცვას ამ ხელშეკრულების ოქმის 2 მუხლში გათვალისწინებულ საზღვარზე გადასვლის წესს.

### მუხლი 31

1. ხელშეკრულების დამდებ თოთოეულ მხარის მცხოვრებთ შეუძლიათ სისაზღვრო წყლებში თევზის ჭერა საზღვრის ხაზამდე მათ ტერიტორიაზე მოქმედი წესების-მხედვით, იმ პირობით, რომ აკრძალულია:

a) ფერქებად, შხამიან, გამაბრუებელ ნივთიერებათა და სხვა საშუალება-თა გამოყენება, რაც გამოიწვევს თევზის განადგურებას და დაშავებას;

b) თევზის ჭერა სასაზღვრო წყლებში ღამით, ტბების გოლოდუსისა და კრასნოეს (გოლდაბის) გამოქლებით, სადაც თევზის ჭერა ღამით აკრძალულია მხოლოდ საზღვრის ხაზის ახლოს.

2. კალინინგრადის ყურეში (ვისლიანი ზალევი) თევზის ჭერა აკრძალულია  
მხოლოდ საზღვრის ხაზის მახლობლად.

3. სასაზღვრო წყლებში თევზის დაცვა და გამრავლება, აგრეთვე თევზის  
ცალკეული ჯიშების ჭერის აკრძალვა ამა თუ იმ უბანზე, თევზჭერის ვადები  
და სხვა ღონისძიებები, რომელიც თევზჭერას ეხება, შეიძლება გადაიტრას  
ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის სპეციალური შეთანხმებებით.

### მუხლი 32

1. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი საჭიროე-  
ბისდა მიხედვით შეთანხმდებიან ნადირისა და ფრინვლის დაცვის ყველა სა-  
კითხზე, აგრეთვე საზღვრის ცალკეულ უბნებზე ნადირობის აკრძალვის ერთ-  
დროული ვადების შესახებ.

2. სასაზღვრო ტერიტორიაზე ნადირობის დროს სროლა და ნადირისა და  
ფრინვლის დევნა საზღვრის გადაღმა დაუშვებელია.

### მუხლი 33

1. საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად მის ორივე მხარეზე უნდა  
ჩეხბოდეს 20 მეტრის სიგანის ზოლი, რომელშიაც სამთო საქმე და მინერა-  
ლური წიაღისეულის საძიებო სამუშაოები, როგორც წესი, აკრძალულია და  
დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხელშეკრულების დამდებ მხა-  
რეთა სათანადო ხელისუფალთა შორის შეთანხმებით.

2. თუ ცალკეულ შემთხვევაში ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნული ზოლების  
დაწესება მიზანშეწონილი არ არის, მაშინ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა  
სათანადო ხელისუფალნი ურთიერთშორის შეთანხმებით დაადგენ საზღვრის  
ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად სხვა დამცველ ღონისძიებებს.

## გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა IV

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი უფლება-მოვალეობანი

### მუხლი 34

ამ ხელშეკრულებაში ნახსენები სათანადო ხელისუფალნი არიან საბჭოთა  
სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რე-  
პუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები.

### მუხლი 35

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და  
პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თითოეული ნიშნავს მესაზღვრე  
რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს.

2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა შესასრულონ მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ შეკრულების დადგენილებებიდან.

3. მოადგილები, როცა ისინი მხარეთა წარმომადგენლები არიან, სარგებლობენ მესაზღვრე რწმუნებულთა ყველა უფლებით.

### მუხლი 36

1. მესაზღვრე რწმუნებულთა ოფიციალური ადგილსამყოფელი და სამოქმედო უბნები წესდება ამ ხელშეკრულების ოქმით.

2. ამ ხელშეკრულების ოქმის 1 განყოფილებაში აღნიშნული მონაცემების შეცვლის შესახებ ხელშეკრულების დამდები მხარეები თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთს აცნობებენ დიპლომატიური წესით.

მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების გვარები და სახელები ურთიერთ ეცნობებათ დიპლომატიური წესით.

### მუხლი 37

1. მესაზღვრე რწმუნებულებს უფლება აქვთ დაინიშნონ საჭირო რაოდენობით თანაშემწენი, აგრეთვე მოიწვიონ ექსპერტები.

2. ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები ერთმანეთს შეატყობინებენ თავიანთი თანაშემწეების გვარს, სახელს და ოფიციალურ ადგილსამყოფელს.

მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეების დანიშვნის, აგრეთვე მათი ოფიციალური ადგილსამყოფელის დაწესების შესახებ მესაზღვრე რწმუნებულები განაცხადებენ თავიანთ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწეების რიცხვი და მათი ოფიციალური ადგილსამყოფელი შეიძლება შეიცვალოს შესაბამის მესაზღვრე რწმუნებულთა მიერ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

4. თანაშემწეობა უფლებების მოცულობა განისაზღვრება რწმუნებებით, რომლებსაც გასცემენ მესაზღვრე რწმუნებულები.

### მუხლი 38

ამ ხელშეკრულების 34 მუხლში ნახსენებ პირებს წერილობით რწმუნებებს, შედგენილ რუსულ და პოლონურ ენებზე, აძლევს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ მოადგილეებს — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალი;

თანაშემწეებს — შესაბამისი მესაზღვრე რწმუნებულები.

1. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალის ვალდებული არიან:

A) მიიღონ საჭირო ზომები საზღვარზე წესრიგის დარღვევის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

B) გამოიძიონ და სათანადო შემთხვევებში გადაწყვიტონ ყველა სასაზღვრო საკითხი, მათ შორის:

1) სროლია საზღვრის გადაღმა;

2) მკვლელობა, დაჭრის შემთხვევები, სხეულის დაზიანება ან სხვაგვარი ზიანის მიყენება ჯანმრთელობისათვის, რომლებიც წარმოადგენენ საზღვრის გადაღმა მოქმედებათა შედეგს, აგრეთვე იძულებითი მოქმედება იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან მეორე მხარის ტერიტორიაზე;

3) უკანონო გადასვლა საზღვარზე;

4) მდინარისა და საზღვაო სანაოსნო საშუალებებით საზღვრის უკანონო გადასვლა, აგრეთვე საზღვარზე გადაფრენა საფრენი აპარატებით შესაბამისი შეთანხმებებით დაწესებულ ჭიშკრის გარეშე;

5) მებადურის ნავებისა და თევზჭერის იარაღების აღმოჩენა, რომლებიც სტიქიური და სხვა მიზეზების გამო მეორე მხარის ტერიტორიაზე მოხვდნენ;

6) სასაზღვრო ნიშნების, მიმართულების ნიშნებისა და იმ ნიშნების, რომლებიც განსაზღვრავენ ფარვატერს, გადაადგილება, დაზიანება ან დანგრევა;

7) მეორე მხარის ტერიტორიის გადაღება საზღვრის გადაღმა;

8) სახელმწიფო ან სხვა ქონების დატაცება, განადგურება, ან დაზიანება მეორე მხარის სასაზღვრო ტერიტორიაზე;

9) შინაური ცხოველებისა და ფრინველების, აგრეთვე ტარპანებისა და დომბების გადასვლა საზღვარზე;

10) ხანძრის გავრცელება საზღვრის გადაღმა შეორე მხარის ტერიტორიაზე;

11) უკანონო გადალაპარაკება საზღვრის გადაღმა;

12) პრეტენზიები ყოველგვარი სახის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც წარდგენილია ერთ-ერთი მხარის მიერ და რომლებიც წარმოადგენენ საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევის შედეგს;

13) სხვაგვარი სასაზღვრო საკითხები, რომლებიც არ თხოულობენ გადაწყვეტას დიპლომატიური წესით.

2. საზღვარზე წესრიგის დარღვევის შემთხვევების გადაწყვეტასთან ერთდროულად სათანადო ხელისუფალი შეთანხმდებიან აგრეთვე ქონების დაბრუნების წესის შესახებ, რომელიც აღმოჩნდა მეორე მხარის ტერიტორიაზე იმ შემთხვევების შედეგად, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის 1 პუნქტის 4, 5, 8 და 9 პარაგრაფებში.

### მუხლი 40

1. ის პირნი, რომლებიც განუზრახველად უკანონოდ გადმოვიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერი-

ტორიაზე, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გადაეცნენ იმ მხარის მესაზღვეობაზე მუნებულს, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი მოვიდნენ.

2. მესაზღვრე რწმუნებულების მიერ განსაზღვრულ უნდა იქნას ამ მუხლის 1 პუნქტში ნახსენები პირების დაბრუნების წესი. ამასთან ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდებიან, რომ არც ერთ მათგანს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ პირების უკან მიღებაზე.

### მუხლი 41

1. მესაზღვრე რწმუნებულები მიიღებენ საჭირო ზომებს და აუწყებენ ამის შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ რომელიმე პირის მიერ საზღვრის ამა თუ იმ მხარეზე არალეგარულად გადასცლას.

2. საბჭოთა ან პოლონელი მოქალაქენი, რომლებიც განზრას არალეგალურად გადავიდნენ საზღვარზე და დაკავებულ იქნენ, დამკავებელი მხარის სათანადო ხელისუფალთა გადაწყვეტილებით გადაეცემიან იმ მხარის სათანადო ხელისუფალთ, რომლის ტერიტორიიდანაც ისინი მოვიდნენ.

3. ამ მუხლის 2 პუნქტში ნახსენები პირები შეიძლება არ გადაეცენ მეორე მხარეს, თუ:

ა) ისინი არიან იმ მხარის მოქალაქენი, რომელმაც ისინი დაკავა;

ბ) გარდა დანაშაულისა — საზღვრის არალეგალურად გადასვლა, მათ ჩაიდინეს სხვა დანაშაული იმ მხარის კანონების წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიაზეც ისინი გადავიდნენ.

4. თუ მხარე, რომელმაც დაკავა ამ მუხლის 2 პუნქტში აღნიშნული პირები, საჭიროდ დაინახავს ააწარმოოს დამატებითი გამორკვევები, მაშინ მას შეუძლია დაკავოს ეს პირები იმ დრომდე, რაც საჭირო იქნება ასეთი გამორკვევის საწარმოებლად, აცნობებს რა დაკავების შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას საკითხზე დაკავებულ პირთა გადაცემის შესახებ დებულობს დამკავებელი მხარის შესაბამისი ხელისუფალი ამ მუხლის 2 და 3 პუნქტის შესაბამისად.

5. თუ ამ მუხლის 2 პუნქტში აღნიშნულ პირთა გადაცემა არ წარმოებს 3 პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების შედეგად ან დაუყოვნებლივ არ შეიძლება მოხდეს რაიმე სხვა მიზეზების გამო, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

### მუხლი 42

ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიიდან სასაზღვრო პუნქტზე გავლით გადმოსულ პირებს, რომელთაც მეორე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოების აზრით არა აქვთ სათანადო დოკუმენტები, მათი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების შემთხვევაში უნდა მიიღოს იმ მხარემ, საიდანაც ისინი მოვიდნენ.



1. მესაზღვრე ოწმუნებულები იღებენ მათგან დამოუკიდებულ ზემოქმედების საზღვარზე წესრიგის დატვევის შემთხვევების მოსაწესრიგებლად. თითოეულ მესაზღვრე ოწმუნებულს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისა-მებრ ყოველი საყითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გა-დასცეს დიპლომატიური წესით გადასაჭრელად, აცნობებს რა ამის შესახებ მეორე მხარის მესაზღვრე ოწმუნებულს.

2. განსაკუთრებით სერიოზული შემთხვევები საზღვარზე, როგორიც არის, მაგალითად, მკვლელობა და სხეულის მძიმე დაშავება, ყოველთვის უნდა გა-დაიჭრას დიპლომატიური წესით.

მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე ოწმუნებულებმა უნდა აწარ-მოონ ამ შემთხვევის შესაბამისი გამოძიება და გამოძიების შედეგები ჩაწერონ სხდომის ოქმში.

3. შემთხვევები, რომელთა მოწესრიგების შესახებ მესაზღვრე ოწმუნებუ-ლები ვერ შეთანხმდნენ, გადასაჭრელად გადაეცემა დიპლომატიური წესით.

ამ მუხლის დადგენილებები არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ საყითხი, რომელიც განიხილებოდა დიპლომატიური წესით კვლავ გადაეცეს გადასაჭრელად მესაზღვრე ოწმუნებულებს.

#### მუხლი 44

1. მესაზღვრე ოწმუნებულები განიხილავენ და გადაწყვეტინ ყველა სა-კითხს, რომელიც დაკავშირებულია ზარალის ანაზღაურების პრეტენზიებთან.

მესაზღვრე ოწმუნებულთა მიერ ერთად მიღებული დადგენილებანი, რომ-ლებიც ამოწურავენ საზღვარზე წესრიგის დარღვევის ამა თუ იმ შემთხვევას, სავალდებულოა და საბოლოოა და ძალაში შედის განხილული საყითხის ოქმშე ხელის მოწერის მომენტიდან.

მაგრამ პრეტენზიები ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელთა ოდენო-ბა აღმატება 500 მანეთს (ზარალი, რომელიც მიყენებულია საბჭოთა სოცია-ლისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე) და 5000 ზლოტს (ზარა-ლი, რომელიც მიყენებულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორი-აზე), გადაეცემა მხარეთა შესათანხმებლად დიპლომატიური წესით.

2. თანხის გამოანგარიშებას, რომელიც ერგება თითოეულ მხარეს ზარა-ლის ანაზღაურების შესახებ მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, მესაზღ-ვრე ოწმუნებულები აწარმოებენ ყოველი წლის 31 მარტს, 30 ივნისს, 30 სექ-ტემბერს და 31 დეკემბერს.

#### მუხლი 45

თითოეული მხარე დაფარავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშექრულებიდან გამომდინარე მისი მოვალეობის შესრულებასთან.

ხელშექრულების დადგენილებებიდან გამომდინარე ანგარიშსწორებათა წესი დადგენილ იქნება დიპლომატიური გზით.



1. მესაზღვრე რწმუნებულები და მათი მოადგილეები ერთად მუშაობენ ახორციელებენ, როგორც წესი, სხდომებზე ან შეხვედრების დროს. თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც მოკლედ უნდა აისახოს სხდომის მსვლელობა, მიღებული დადგენილებანი და მათი შესრულების ვადა.

მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების დადგენილებანი ოქმის ხელმოწერის მომენტიდან სავალდებულოდ და საბოლოოდ ჩაითვლება ორივე მხარისათვის.

წვრილმანი საკითხები შეიძლება გადაიტრას რწმუნებულებს შორის მიმოწერის გზით ან კავშირის სხვა საშუალებით, თუ არც ერთი მათგანი არ მოითხოვს ასეთი საკითხის განხილვას სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

2. მესაზღვრე რწმუნებულთა თანაშემწენი, როგორც წესი, ერთად მუშაობენ შეხვედრების დროს. თანაშემწეების თითოეულ შეხვედრაზე დგება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით იქნება აღნიშნული მათ მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში ჩაიწერება დასკვნები და წინადადებები. თანაშემწეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძალაში შედის მხოლოდ მესაზღვრე რწმუნებულთა მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

საკითხები, რომლებზედაც თანაშემწეებს შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება, გადასაჭრელად გადაეცემა მესაზღვრე რწმუნებულებს.

3. ოქმები მესაზღვრე რწმუნებულებისა და მათი მოადგილეების სხდომების შესახებ, აგრეთვე თანაშემწეების შეხვედრების შესახებ შედგება ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და პოლონურ ენებზე.

## მუხლი 47

1. მესაზღვრე რწმუნებულთა სხდომები ან შეხვედრები ეწყობა ერთერთი მათგანის წინადადებით და შეძლებისამებრ იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია წინადადებაში, პასუხი მიწვევაზე უნდა მიეცეს შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 48 საათისა მოწვევის მიღების მომენტიდან. თუ სხდომის ან შეხვედრის შეთავაზებული ვადა მისაღები არ არის, საპასუხოდ მაშინვე შეთავაზებულ უნდა იქნას სხვა ვადა.

2. სხდომაზე ან შეხვედრაზე, რომელზედაც იწვევს ერთი მხარის მესაზღვრე რწმუნებული, პირადად უნდა მივიდეს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებული, თუ იგი ადგილზე არ იმყოფება საპატიო მიზეზით (ავადყოფობა, მივლინება, შვებულება), ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე რწმუნებულს ცვლის მისი მოადგილე, რის შესახებ მესაზღვრე რწმუნებული დროულად აცნობებს მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულს.

3. მესაზღვრე რწმუნებულთა შორის შეთანხმებით შეიძლება მოეწყოს მათი მოადგილეთა სხდომები და შეხვედრები.

თანაშემწეთა შეხვედრები ხდება მხოლოდ მესაზღვრე რწმუნებულთა დავალებით.

4. შესაზღვრე რწმუნებულთა, მათ მოადგილეთა ან თანაშემწეთა უსტყობის მებსა ან შეხვედრებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ თითოეული მდივნებმა, მთარგმნელებმა, ექსპერტებმა და სხვა პირებმა.

### მუხლი 48

1. სხდომები და შეხვედრები, რომლებზედაც ლაპარაკია ამ ხელშეკრულების 47 მუხლში, უნდა გაიმართოს, როგორც წესი, იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მესაზღვრე რწმუნებულის ინიციატივით ეწყობა სხდომა ან შეხვედრა. მაგრამ მესაზღვრე რწმუნებულებს ან მათ თანაშემწეებს შეუძლიათ გადაუხვიონ ამ პრინციპს, თუ ასეთი გადახვევის სასარგებლოდ ლაპარაკობს მიზანშეწონილობის მოსაზრებანი.

2. სხდომები ან შეხვედრები წარმოებს იმ მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ან თანაშემწის ხელმძღვანელობით, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

3. სხდომის დროის წესრიგი წარდგენილ უნდა იქნას მოწვევასთან ერთად და დადგენილ უნდა იქნას წინასწორი მოლაპარაკების გზით ან წერილების გაცვლის გზით. საგანგებო შემთხვევებში ურთიერთშეთანხმებით, განსახილველად შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე საკითხები, რომლებიც დღის წესრიგში არ არის აღნიშნული.

### მუხლი 49

მესაზღვრე რწმუნებულებს და მათ თანაშემწეებს შეუძლიათ ამაზე წინასწარ შეთანხმებით საქმის არსის გამოსარყევევად აწარმოონ ადგილებზე საზღვარზე წესრიგის დარღვევის შემთხვევების გამოძიება.

ასეთ გამოძიებას ხელმძღვანელობს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იყი წარმოებს.

გამოძიების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი აქტები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ სხდომის ოქმს დაერთვის. აღნიშნული აქტები და სხვა დოკუმენტები შედგება ამ ხელშეკრულების 46 მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

ადგილებზე ერთად გამოძიება არ განიხილება როგორც სასამართლო ძიება ან მსგავსი მოქმედება, რომლებიც შედის თითოეული მხარის სასამართლო ან აღმინისტრაციულ ხელისუფალთა კომპეტენციაში.

### მუხლი 50

ორივე მხარის მესაზღვრე რწმუნებულები მოვალენი არიან უმოკლეს ვა-დაში ერთმანეთს აცნობონ მიღებული ზომების შესახებ იმ გადაწყვეტილება-თა შესაბამისად, რომლებიც მიღებულია სხდომაზე ან შეხვედრის დროს.

1. მესაზღვრე რწმუნებულები ამაზე ურთიერთშეთანხმებით აწევებული საზღვარზე შესახვედრ პუნქტებს, რომლებშიც წარმოებს მათი სამსახურებრივი კორესპონდენციის გაცვლა, აგრეთვე ხდება ხალხისა და ქონების გადაცემა.

ყველი ასეთი გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ ერთმანეთს შეუთანხმდებიან მესაზღვრე რწმუნებულები ან მათი თანაშემწევები.

2. ხალხის გადაცემა უნდა წარმოებდეს პირადად მესაზღვრე რწმუნებულების ან მათი თანაშემწევების მიერ. კორესპონდენციისა და ქონების გადაცემა შეუძლიათ აწარმოონ ორივე მხარის სასაზღვრო ჯარების ოფიციალური მესაზღვრე რწმუნებულების დავალებით და მათ დაუსწრებლად.

3. სამსახურებრივი კორესპონდენცია მიღებულ უნდა იქნას მთელი დღელამის განმავლობაში, დღესასწაულებისა და სამუშაოდან თავისუფალი სხვა დღეების ჩათვლით.

4. ცხოველებისა და ფრინველების გადაცემა წარმოებს მათ მიერ საზღვრის გადასვლის რაიონში.

5. მესაზღვრე რწმუნებულები ურთიერთშეთანხმებით აწესებენ ხელშერილთა ნიმუშებს, რომლებიც გაიცემა კორესპონდენციის ან ცხოველებისა და სხვა ქონების მიღების დროს.

6. მესაზღვრე რწმუნებულები შეთანხმდებიან სიგნალების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მეორე მხარის სასაზღვრო დაცვის გამოსაძახებლად, ხოლო იქ, სადაც შესაძლებელია მოაწყობენ ერთმანეთთან სატელეფონო ან სხვა კავშირს.

7. საზღვარზე შეხვედრის პუნქტების დაწესებას მესაზღვრე რწმუნებულები მოახდენენ მათ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

ამ შესახვედრი პუნქტების რიცხვისა და ადგილის შეცვლა შეიძლება მოახდინონ მესაზღვრე რწმუნებულებმა ურფიერთშეთანხმებით.

## გ ა ნ ჟ ო ჟ ი ლ ე გ ა ვ ა 7

### დასკვნითი დაზუნილებანი

#### მუხლი ۵۲

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება ვარშავაში, რაც შეიძლება მოკლე დროში.

#### მუხლი ۵۳

1. ეს ხელშეკრულება იმოქმედებს მისი ძალაში შესვლის დღიდან ათიწლის განმავლობაში. ხელშეკრულება ავტომატურად იმოქმედებს თითოეული

შომდევნო 5 წლის განმავლობაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთობლივად ჩატარებული არ განაცხადებს მასზე უარს ამ ხელშეკრულების მოქმედების პირზე გასფლამდე 6 თვით ადრე.

2. ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების დამდები მხარეების ურთიერთთანხმობით.

### მუხლი 54

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვლება საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულება დასკვნით ოქმთან ერთად, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 8 ივნისს, სასაზღვრო კონფლიქტებისა და ინციდენტების მოწესრიგების წესის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კონვენცია ოქმთან და დასკვნით ოქმთან ერთად, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 8 ივნისს, აგრეთვე 1951 წლის 8 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილი ოქმი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის თაობაზე ხელშეკრულებაში და სასაზღვრო კონფლიქტებისა და ინციდენტების მოწესრიგების წესის თაობაზე კონვენციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

### მუხლი 55

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და პოლონურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ხელმოწერილია მოსკოვში 1961 წლის 15 თებერვალს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
კავშირის მთავრობის რწმუნებით

6. ფირიშგინი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით  
პ. იაზჩიშკი.

\* \* \*

ჩატარებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 5 ივნისს; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ — 1961 წლის 5 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ვარშავაში 1961 წლის 20 სექტემბერს.



ხელშეპრულებისა საგვითა სოციალისტური რესპუბლიკის კავკა  
რის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას  
შორის საგვითა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის საზღვრის  
რეზიტაციის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომალობისა და  
ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მთავრობასა და პო-  
ლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელშეკრულების შესას-  
რულებლად საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეკიმის,  
სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომალობისა და ურთიერთდახმარების შესახებ,  
რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1961 წლის 15 ოქტომბერის და რომელსაც  
შემდეგში „ხელშეკრულება“ ეწოდება, ხელშეკრულების დამდები თრივე მხარე  
შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

## გ ა ნ ყ რ ი ლ ე ბ ა Ⅰ

### სასაზღვრო უზები

#### მუხლი 1

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის მხრივ წესდება მესა-  
ზღვრე რწმუნებულთა შემდეგი სამოქმედო უბნები:

1. ლევოპის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით  
ქ. ლევოპი; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება საბჭოთა სოციალისტური რეს-  
პუბლიკის კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვა-  
კიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარიდან  
(სასაზღვრო ნიშან „კრემენეცის“ ჩათვლით) № 1122 სასაზღვრო ნიშანმდე, ამ  
ნიშნის ჩათვლით.

2. ბრესტის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით  
ქ. ბრესტში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება № 1122 სასაზღვრო ნიშნიდან  
მისი გამოკლებით მდინარე ნარევი ნარევი და გამოკლებით (№ 1533 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

3. გროდნოს უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით  
ქ. გროდნოში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება მდინარე ნარევი და გამოკლებით (№ 1533  
სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) დასახლებულ პუნქტ გრომადჩიზნამდე  
(№ 1987 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

4. კალინინგრადის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყო-  
ფელით ქ. პრავდინსკში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ  
პუნქტ გრომადჩიზნიდან (№ 1987 სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) კალინინ-  
გრადის ყურის აღმოსავლეთ ნაპირამდე (კისლიანი ზალევი).

5. ბალტიის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით  
ქ. კლაიპედაში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება კალინინგრადის ყურის

აღმოსავლეთ ნაპირიდან (ვისლიანი ზალევი) ბალტიის ისარის დასავლეთ ნაპირი აღმდე (მეუერია ვისლიანი) (№ 2439 სასაზღვრო ნიშანი—მონოლითი) და გდანსკის ყურეში სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების გამყოფი ხაზისა და სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების გარეთა ნაპირის გადაკვეთის წერტილამდე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ წყლება მესაზღვრე რწმუნებულთა შემდეგი სამოქმედო უბნები:

1. უეშვეის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. პერემიშლში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების შესაყარიდან (სასაზღვრო ნიშან „ერემენცის“ ჩათვლით) იაროსლავ—რავა-რუსკაიას რკინიგზამდე (№ 672 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

2. ხელმის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. ხელმში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება იაროსლავ—რავა-რუსკაიას რკინიგზიდან (№ 672 სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) ქ. ვლოდავის სამხრეთით მდებარე დასახლებულ პუნქტ ორხოვომდე (№ 1122 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

3. ტერესპოლის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. ტერესპოლში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება ქ. ვლოდავის სამხრეთით მდებარე დასახლებულ პუნქტ ორხოვომდან (№ 1122 სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) დასახლებულ პუნქტ ნემიროვიმდე (№ 1345 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

4. ბელოსტოკის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. ბელოსტოკში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ პუნქტ ნემიროვიდან (№ 1345 სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) დასახლებულ პუნქტ გრომადჩიზნამდე (№ 1987 სასაზღვრო ნიშნის ჩათვლით).

5. კენტშინის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. კენტშინში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება დასახლებულ პუნქტ გრომადჩიზნიდან (№ 1987 სასაზღვრო ნიშნის გამოკლებით) კალინინგრადის ყურის აღმოსავლეთ ნაპირამდე (ვისლიანი ზალევი).

6. ბალტიის უბნის მესაზღვრე რწმუნებული მუდმივი ადგილსამყოფელით ქ. გდანსკში; მისი სამოქმედო უბანი ვრცელდება კალინინგრადის ყურის (ვისლიანი ზალევი) აღმოსავლეთ ნაპირიდან ბალტიის ისარის დასავლეთ ნაპირამდე (მეუერია ვისლიანი) (№ 2439 სასაზღვრო ნიშანი—მონოლითი) და შემდეგ გდანსკის ყურეში სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების გამყოფი ხაზისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების გარეთა ნაპირის გადაკვეთის წერტილამდე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ბალტიის უბნის მესაზღვრე რწმუნებული სსრ კავშირის ბალტიის უბნის მესაზღვრე რწმუნებულთან ერთად განიხილავს, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილი სანაოსნო საშუალებებით გდანსკის ყურეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

კავშირის ტერიტორიული წყლების დარღვევის საკითხებს პოლონეთის სახალ  
ხო ჩესპუბლიკის ტერიტორიული წყლების გარეთა ნაპირიდან დაწყებულების  
კავშირის ტერიტორიული წყლების გარეთა ნაპირამდე უბანზე.

## გ ა ნ ჟ ო ფ ი ლ ე ბ ა II

### საზღვარზე გადასვლის ჭარი

#### შუბლი 2

1. მესაზღვრე რწმუნებულებს, მათ მოადგილეებს, მდივნებს, მთარგმნე-  
ლებსა და ექსპერტებს შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე ხელშეკრულების  
დადგენილებებიდან გამომდინარე თავიანთი სამსახურებრივი ფუნქციების  
შესასრულებლად.

მესაზღვრე რწმუნებულები, მათი მოადგილეები და თანაშემწევები საზ-  
ღვარზე გადადიან ხელშეკრულების 38 მუხლით გათვალისწინებულ წერილო-  
ბითი რწმუნების საფუძველზე, რომელშიც უნდა იყოს მფლობელის ფოტო-  
სურათი და ხელმოწერა, ხოლო თანაშემწის რწმუნებაზე, ამის გარდა მეორე  
მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (რწმუნების ნიმუში — დანართი  
1 და 2).

2. მდივნები, მთარგმნელები და ექსპერტები საზღვარზე გადადიან ერთი  
მხარის მესაზღვრე რწმუნებულების მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე.  
მოწმობაში უნდა იყოს მფლობელის ფოტოსურათი და ხელმოწერა, აგრეთვე  
მეორე მხარის მესაზღვრე რწმუნებულის ვიზა (მოწმობის ნიმუში — დანარ-  
თი 3).

3. 2 პუნქტში მოხსენებული ვიზები, აგრეთვე მესაზღვრე რწმუნებულის  
თანაშემწეოა ვიზები გაიცემა საზღვრის მრავალჯერ გადასასვლელად ვადით  
12 ოვემბრე.

4. იმ პირებს, რომელთა ყოფნა აუცილებელია რომელიმე საკითხის გამო-  
სარკვევად, ან მესაზღვრე რწმუნებულის დავალებით სამუშაოთა, საწარმოებ-  
ლიდ შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე ორივე მხარეს, საზღვრის ერთხერადი  
გადასვლის მოწმობის ან საერთო სიის საფუძველზე, რომელიც ძალაშია 24  
საათის განმავლობაში. მოწმობებსა და საერთო სიებს ხელს აწერს ერთი მხა-  
რის მესაზღვრე რწმუნებული და ვიზას აძლევს მეორე მხარის მესაზღვრე  
რწმუნებული (მოწმობის ნიმუში — დანართი 4).

მუშათა ჯგუფები საზღვარზე გადადიან მხოლოდ დღისით ამ ჯგუფების  
მეთაურებთან ერთად მოწმობების დანართი საერთო სიების საფუძველზე,  
რომლებიც ეძლევა ჯგუფების მეთაურებს.

5. ამ მუხლის 2 და 4 პუნქტებში აღნიშნულ დოკუმენტებზე მესაზღვრე  
რწმუნებულები ვიზებს იძლევიან არა უგვიანეს სამი დღისა დოკუმენტების  
ვიზირებისათვის შემოსვლის დღიდან.

6. იმ პირებს, რომლებიც ორივე მხარის შესაბამის ხელისუფალთა შეთანხმების საფუძველზე აწარმოებენ საკომუნიკაციო ნაგებობათა, ხოლო მათ შესაბამის ნაგებობათა მშენებლობისა და დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოებს, აგრეთვე მდინარეების რეგულირების, გაზომვათა წარმოებისა და სხვა იმგვარ სამუშაოებს, შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე სასაზღვრო საშვთა საფუძველზე, რომლებსაც გასცემენ თითოეული მხარის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ორივე მხარის მესაზღვრე ჩრდილებულები ერთად აწესებენ ზემოაღნიშნულ პირთა მიერ საზღვარზე გადასვლის ადგილსა და დროს და აკეთებენ შესაბამის ჩინანიშნს მათ საშვებზე.

7. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მუშებს, რომლებიც გადადიან მეორე მხარის ტერიტორიაზე უფლება არა აქვთ თან წაიღონ სხვა რაიმე, გარდა ინსტრუმენტების და სატრანსპორტო საშუალებებისა მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე მუშაობის დროს აუცილებელი კვების პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმისა.

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოთა წარმოება რამოდენიმე დღის გაგრძელდება ეს საგნები შეიძლება დატოვებულ იქნას სამუშაო ადგილზე ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა თანხმობით.

8. საზღვარზე გადასასვლელი მოწმობის ან სასაზღვრო საშვის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უახლოეს სასაზღვრო ხელისუფალთ, რომლებიც ამის შესახებ აცნობებენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სასაზღვრო ხელისუფალთ.

ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ინფორმაციას მიაწვდიან ერთმანეთს საზღვარზე გადასვლელი მოწმობებისა და სასაზღვრო საშვთა გაუქმების შესახებ.

9. იმ პირებს, რომლებიც იღებენ სასაზღვრო საშვს, უნდა განემარტოთ მათი მოვალეობა ორივე მხარის სავალუტო და საბაჟო წესების დაცვის შესახებ. იმ პირებს, რომლებიც არ დაიცავენ ამ წესებს, შეიძლება ჩამოერთვათ სასაზღვრო საშვი.

### მუხლი 3

ის პირები, რომლებიც რწმუნებით არიან აღჭურვილი გადავიდნენ საზღვარზე, ვალდებული არიან საზღვარზე გადასვლის თითოეულ შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარის საზღვრის დაცვის ორგანოებს წარუდგინონ საზღვარზე გადასვლის მოწმობა ან სასაზღვრო საშვი ჩინანიშნის გასაკეთებლად.

### მუხლი 4

1. საზღვარზე გადასვლა ხდება მხოლოდ იმ პუნქტებში, რომლებიც დადგენილია ხელშეკრულების 51 მუხლის შესაბამისად, თუ მესაზღვრე რწმუნებულნი ან მათი თანაშემწენი არ შეთანხმდნენ საზღვარზე გადასასვლელი სხვა ადგილის შესახებ.

2. იმ პირთა მიერ საზღვარზე თითოეული გადასვლის დღისა და საათის შესახებ, რომლებიც ონიშნულია ამ ოქმის 2 მუხლის 1 და 2 პუნქტებში, ჩატარებული რა დროულად და ყოველ შემთხვევაში 12 სათით ადრე, ეცნობოს შეორო მხარის საზღვრის დაცვის ორგანოს, რომელიც ვალდებულია შეხვედრის პუნქტში გაგზავნოს თავისი გამყოლი.

3. მესაზღვრე რწმუნებულებს, აგრეთვე ამ ოქმის 2 მუხლის 1 და 2 პუნქტში ხსენებულ სხვა პირებს საზღვარზე გადასვლისას უფლება აქვთ ატარონ ფორმა და პირადი იარაღი.

### მუხლი 5

1. მესაზღვრე რწმუნებულებს, მათ მოადგილეებსა და თანაშემწევებს გარანტირებული აქვთ პირადი ხელშეუხებლობა, აგრეთვე ხელშეუხებლობა იმ სამსახურებრივი ქაღალდებისა; რომლებიც მათ თან აქვთ.

2. მდივნებს, მთარგმნებულებსა და ექსპერტებს გარანტირებული აქვთ პირადი ხელშეუხებლობა, როდესაც ისინი ამ ოქმის 2 მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად მოსაზღვრე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ხელშეუხებელია აგრეთვე სამსახურებრივი ქაღალდები, რომლებიც მათ თან აქვთ.

3. ზემოხსენებულ პირებს უფლება აქვთ ბაჟისა და სხვა გამოსალების გარეშე თან წაიღონ მეორე მხარის ტერიტორიაზე მუშაობისათვის აუცილებელი საგნები და სატრანსპორტო საშუალებანი, მათი უკან წამოღების პირობით, აგრეთვე პირადი საჭიროებისათვის აუცილებელი კვების პროდუქტები და თამბაქოს ნაწარმი.

### მუხლი 6

თითოეული მხარე საჭირო დახმარებას გაუწევს მეორე მხარის იმ პირთ, რომლებიც მის ტერიტორიაზე იმყოფებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად, რათა ამ პირებმა მიიღონ მიმოსვლის საშუალებანი, ბინები, და თავიანთ ხელისუფლებთან კავშირის დამყარების საშუალებანი.

### მუხლი 7

ხელშეკრულების დადგენილებათა შესასრულებლად საზღვარზე გადასვლის უფლება შეჩერდება მთლიანად ან ნაწილობრივ საჭიროებისდა მისედვით, თუ საზღვარი დაიხურა მასზე მიმოსვლისათვის სანიტარული ან სხვა მიზეზების გამო.

საზღვარზე გადასვლის უფლების შეჩერების შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.



ხანძრის ან სხვა სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაში სახანძრო რეზისურსები ან სხვა მაშველ ჯგუფებს დღედამის ყოველ მომენტში შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე სიებით, შეათანხმებენ რა გადასცლის დროსა და ადგილს მხარეთა მესაზღვრე რწმუნებულებთან.

## მუხლი 9

ეს ოქმი წარმოადგენს ხელშექრულების განუყოფელ ნაწილს და შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და პოლონურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ხელმოწერილია მოსკოვში 1961 წლის 15 თებერვალს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების  
გავშირის მთავრობის რწმუნებით

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის  
მთავრობის რწმუნებით

ნ. ფიროვანი

გ. იაშჩიში

დანართი 1  
ნომერი ში

1 გვერდი (ზომა 15×10 სმ)

რ ვ მ უ ნ ი ბ ა

ფოტოსურათის  
ადგილი

ბეჭდის  
ადგილი

მფლობელის ხელის მოწერა

## 2 გვერდი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრის რეფიმის, სასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის ქ. მოსკოვში 1961 წლის 15 ოქტომბერის დადგებული ხელშეკრულების 35 მუხლის საფუძველზე დაწინააღმდეგად

(წოდება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

სსრ კავშირის მესაზღვრე რწმუნებულად (მესაზღვრე რწმუნებულის მოაღილედ)

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის

(უბნის დასახელება)

უბანზე № ————— სასაზღვრო ნიშნიღან № ————— სასაზღვრო  
ნიშნამდე

(წოდება, გვარი)

აღიჭურვება რწმუნებით ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოვალეობათა შესასრულებლად და ამასთან დაკავშირებით უფლება აქვთ გადავიდეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის აღნიშნულ უბანზე და იმყოფებოდეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლში.

სსრ ტავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი

(წოდება, გვარი)

ბეჭდის აღგილი

ქ. მოსკოვი, 19 ————— წ. „ ” “

3 გვერდი (პოლონეური ტექსტი 2 გვერდისა)



